

თბილისი. 11 სექტემბერი (ალა-მაჰმად ხანისაგან თბილისის აკლების დღე). 2005 წ.

რამდენიმე სიტყვა პრეზიდენტს...

„მოყვარეს პირში უძრახე,
მგერს პირს უკანაო“
ქართული ხალხური სიბრძნე

ან კიდევ – „გონიერსა მწვრთნელი უყვარს, უგუნურსა გულსა ჰკმირდეს...“

თავიდანვე ვიგყვი, რომ 2003 წლის ბოლოსათვის, მეც ერთ-ერთ თქვენს მხარდამჭერად მიმიჩნევდნენ მეგობრები, ახლობლები თუ მეზობლები (იხ. ქსელური გვერდი www.gisurvebt.com). იმ დროს ქართველმა ერმა, თქვენზე შეაჩერა არჩევანი, როგორც საერთო-ეროვნული რისხვის მორეეს ქაფადმომდგარზე და მე მგონი, კარგად ხედებით თუ რაგომაც – მივიჩნიათ ალტერნატივად პიროვნებისა, რომელიც ქართველ ერს არც არასოდეს მიუღია ლიდერად და პრეზიდენტად და რომლის სახელსაც როგორც ადრე, არც ახლა ვახსენებ, ისევე როგორც უხსენებელისას. აი, ერთ-ერთი უმთავრესი „მიზეზთა მიზეზი და კიდევ მიზეზი“ იმისა, რაგომაც ამოვიდექით მხარში.

მე მგონი, მყოფნის კვალიფიკაცია იმისათვის, რომ მივხვდე თუ სად დაიწერა 2003 წ-ის ნოემბრის მოვლენების სცენარი; როგორ დაიდგა მთელი ეს ოპოპოია, მაგრამ მაინც თქვენთან ვიყავით, რადგანაც საქმე მიდგა იმ პიროვნების „ნაქმნარ-ნაღვაწის“ საჯაროდ შეფასებაზე, რომელმაც დააქცია ჩვენი სამშობლო – მისნაირი დაქცევა-განადგურება საქართველოს არ სწევია თვით მურვან-ყრუს, თემურ-ლენგის, შაჰ-აბასის თუ ალა მაჰმად ხანის¹ დროს.

აღიარებულია, რომ ერი, ეს უპირველეს ყოვლისა მორალურ-სულიერი კატეგორიაა და მერე, სოციალური. ერი მაშინ არის ერთიანი, როდესაც მის შვილთ ერთიანი მორალური სივრცე აერთიანებს, რომელშიც თავისი ადგილი აქვს მიჩენილი ზოგადღამიანურ ცნებებს - ავს და კარგს; სიყვარულს, სიძულვილს, ერთგულებას, ბოროტებას, გაიძევრობას, ფლიდობას, თავდადებას მოყვასისათვის და ა.შ.

¹ სხვათა შორის, ალა მაჰმად ხანის მერე თბილისში სისხლისღვრა და ომი არ ყოფილა და ამ უხსენებლის ბრძანებითა და მითითებით დაინგრა თბილისის ცენტრი 1991 წლის 22 დეკემბრიდან 1992 წლის 6 იანვრამდე ; და ვინ იცის, ზვიადი რომ არ გასულიყო თბილისიდან, კიდევ რას მოიმოქმედებდნენ მოსკოვიდან შეგულიანებულ-დაფინანსებული კრიმინალთა და ნარკომანთა ბანდები.

ერი, რაც უფრო კულტუროსანია და ძველი, მით უფრო მდგრადია ეს ზოგადადამიანური ღირებულებანი მის შეგნებაში. გამომდინარე აქედან, მას აქვს საკუთარი, ათასწლეულთა მიღმიდან წინაპართა მიერ რწმენით, სინდისითა და სისხლით შეჯერებული სულიერების ღუმელში გამობრძმედილი მსოფლხატი, რომელშიც გასიგრძეგანებულია ადამიანურობის უზოგადესი კანონები. სწორედ, ეს მსოფლხატი არის პირუთენელი შემფასებელ - განმჭვრევი ავისა და კარვისა, რომლთათვის სახელის დარქმევის ხანგრძლივობა ერის ისტორიულ-კულტურულ სიძველეზეა დამოკიდებული – რაც უფრო ისტორიულია ერი, მით უფრო მალე არქმევს ყველაფერს თავის სახელს.

აქვე შეგახსენებთ ერთ ფაქტს: წმინდა ილია მართალი საქართველოს მტრებმა 1907 წელს გამოასალმეს სიცოცხლეს; 1937 წელს მისი მკვლელების, ესდეკების, იდეურმა მემკვიდრეებმა - კომუნისტებმა მას დაბადებიდან 100 წლის იუბილე დიდი ზარ-ზეიმით გადაუხადეს; ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის სინოდმა კი აქედან 50 წლის შემდეგ 1987 წ-ს, ე.ი. გარდაცვალებიდან 80 წლის შემდეგ, დიდი ილია წმინდანად შერაცხა; უფლის გზაზე შემდგარი ეს დიდი მამულიშვილი კი წმინდანი იყო 1907 წლის 20 აგვისტოსვე. 1907 წელსვე, ჭემშარიტად – „...ვისაც მარხავდა, საქართველომ იცოდა“.

ხედავთ, როდენ უცყუარია ერის ერთიანი მსოფლალქმა და გენია. ხალხი ბრძენიაო – უთქვამს ქართველს. „უხსნებელისტი“ ვაიქართველები კი 90-იან წლებში გაიძახოდნენ – ხალხი ბრბოაო და გყვიას უშენდნენ სიმართლისათვის, ეროვნული მსოფლხატის ერთგულ ეროვნულ ენერგიას, რომელიც ნათლად არქმევდა სახელს იმ წლებში უცხო დამპყრობთაგან თავსმობვეულ ძალადობას.

ხშირად აპელირებთ აშშ-ის პრეზიდენტის ჯ. ბუშის სიტყვებით; როგორც ჩანს, ამ სიტყვებს სახავთ თქვენს სახელმძღვანელო თემისებად. ჰოდა, მეც ამ სიტყვებს შეგახსენებთ. ბ-ნმა ბუშმა, თბილისში, მათის თვეში, ქართველი ერისადმი მიმართვაში ორი უმთავრესი თემა წარმოსთქვა:

1. **ის რაც ქართველებმა დაიწყეთ 1989 წლის 9 აპრილს, დასრულდა 2003 წლის 23 ნოემბერს.**
2. **თქვენ 23 ნოემბერს საბოლოოდ დაამხეთ პოსტსაბ-ჭოთა დიქტატურა.**

რა ჩანს ამ სიტყვებიდან? უპირველესად ის, რომ მავანთა და მავანთ, ამ შემთხვაში კი ამერიკის ხელისუფალი, ძალიან კარგად მოეხსენებათ რა ხდებოდა საქართველოში, უახლოეს წარსულში.

მაშასადამე, 23 ნოემბრის აქცია ვერასგმით ვერ შედგებოდა, რომ არ ყოფილიყო ეროვნული მოძრაობა 1988 წლის ნოემბრიდან,

რომელსაც სათავეში **ზვიად გამსახურდია** და **მერაბ კოსტავა** ედგნენ. თქვენ კი საერთოდ არ ახსენებთ ამ მოვლენებს. იმას თუ როგორ დაამარცხა ქართველმა ერმა ამ ორი (მერაბი ოღნაჲ აღრე მოუკლეს საქართველოს) უღირსეულესი მამულისშვილის მოთავეობით საბჭოთა ურჩხული უსისხლოდ – არჩევნების გზით (სხვათა შორის, წელს თავისი საყოველთაოობითა და სამრთლიანობით ამ უპრეცედენტო არჩევნების 15 წელი სრულდება და ჯერჯერობით ამ თარიღის, როგორც ერის პოლიტიკური სიმწიფის ნათელი მაგალითის, ხსენებაჲ არაა დღევანდელ მასშედიამში). ამ გამარჯვებამ უპრეცედენტო პერსპექტივები გადაუშალა ჩვენს ერს, მაგრამ 1991 წლის 22 დეკემბერს, როგორც დიდი ილია ამბობს – „განახლების შესდგნენ ძაღნი“. იმდღავრეს თქვენი სიგყვით „მარკოზაშვილებმა“, ნამდვილად კი წითელმა ინტელიგენტებმა და ჰომოსოფევიკუსებმა და აკვანშივე ჩაკლეს საქართველოს თავისუფლება, სილაღე და განახლებისაკენ სწრაფვა. მათ, როგორც ეს გიჰიურ მარქსისტ-ლენინელ საბჭოთა „ინტელიგენტებს“ ეკადრებოდათ, სოციალური კუთხით შეხედეს ეროვნულ სწრაფვას თვითმყოფადობისაკენ და მიხედნენ, რომ ახალ თვისობრიობაში (რამდენადაც კარდინალურად განსხვავებულია ერთიმეორისგან დამონებული და თავისუფალი ერი) დაკარგავდნენ დამპყრობთაგან მონიჭებულ პრივილეგიებს. თანაც წასძალა მათ ეროვნული ქონების ხელში ჩაგდების მგლურმა ინსტიტგმა და სასიკვდილოდ გაიმეგეს ყველაზე ძვირფასი – ერის სახელმწიფოებრიობა.

1992 წლის 6 იანვრიდან იწყება, სწორედ, ის პოსტსაბჭოთა დიქტატურა, რომლის დამხობაჲც ახსენა ამერიკის პრეზიდენტგმა თავის სიგყვაში. ამ უსაშინლეს თორთმეგწლეულში ვაიქართველთაგან გაიძარცვა მთელი საერთოეროვნული ქონება, მათ შეიხვილიფეს მოსახლეობის ანაბრები და წლობით ნაგროვები „კაპიკ-კაპიკი“; გაღატაკგა ხალხი, შემცირდა შობადობა, გაიზარდა სიკვდილიანობა, დაავადლა დიდი და პაგარა; რადგან განვითარებად ქვეყნად ვიქეციოთ, დაიწია სისხლში ჰემოგლობინის შემცველობის სგანდარგმაც კი (წარმოგიდგენია მსგავსი სისულელე?); თავმოყვარე (ეს საქები თვისებაა და არა საძაგი) ერი შეეწვია ნახმარ განსაცმელს, ნახმარ მანქანებს, ნახმარ ავეჯს, ნახმარ ტროლებუხებსა და ნახმარ, მათხოვარ და მამათელ ქაჯ „პრეზიდენტსაც“...

მიუხედავად ამისა, ჩვენ მაინც არ ვრაცხთ მას საუბრის და მსჯელობის ღირსად – „ეგლოს, მისთვის ეთრიოს...“ მაგრამ ერთი კია, მისი ადგილი სოროშია; ხოლო ვინც მას და მისთანანთ თვალეებში შემოგვაჩეჩებს გლეეკრანიდან თავისი კოჭლი, უწიგური ქართულით, ღირსია გაკიცხვისა...

ეს წერილი დღევანდელი ე.წ. „პატრიოტთა“ შეკრების ტელეგრან-სილაცის ერთგვარი გამოძახილია. ჩემდათავად, ამ შეხვედრამ, ორგანიზაციის მხრივ, სტულაქცივის და პიონერთა „სხადნიაკები“ გამახსენა. ხომ შეიძლებოდა სულიერად უფრო მაღალ დონეზე მომზადებულიყო ეს შეხვედრა? მითუმეტეს, როდესაც მას მთელი საქართველო უყურებდა.

სიტყვა „პატრიოტი“ სამშობლოს ერთგულს ნიშნავს და მისი გაბი-ბურება არ ეგების. მერაბი და გვიადი ქართულ სიტყვას ამჯობი-ნებდნენ – მამაულიშივილი! მიმართავდნენ მოქალაქეებს. „უხსენე-ბელმა“ გაცვითა სიტყვები „სამშობლო“ (მისთვის სამშობლო სსრკ იყო); „თავისუფლება“, „დამოუკიდებლობა“... არ მინდა რომ ახლა გაცვდეს „პატრიოტი“ - „მამულიშივილი“.

ხომ შეიძლებოდა ვინმეს ეთქვა ამ „პატრიოტებისათვის“, რომ უწმინდესა და უნეტარესს, საქართველოს კათალიკოს-პატრიარქს ილია II სტვენითა და ჟღრიალით არ უნდა შეხვდე. ანდა ვინ დაგეგმა პატრიარქის მერე „ქუჩის ბიჭების“ გამოსვლა? დასანანი შეცდომა იყო ეს? ნეტამც...

თუ შეცდომა იყო, მაშინ ამ თავყრილობის რეჟისორს კიდევ ანდობთ სამთავრობო შეხვედრების ორგანიზებას?

მაინტერესებს რას აკეთებდნენ „გართობა“ – „ჯღანაობის“ გარდა (როგორც ამას 12 წუთიანი ვიდეოკლიპი მოგვითხრობდა) ეს „პატ-რიოტები“? ჩვენ საქართველოს კულტურის ძეგლთა აღდგენაზე ვემუშაობდით. ხომ შეიძლებოდა მათაც დაეღოთ ქვა-ქვამზე?

დავიმახსოვროთ:

1. ახალი საქართველოს ისტორია 1989 წლის 9 აპრილიდან იწყება.³ 23 ნოემბერი ერთ-ერთი შედეგია მისი და მასთან ერთად საფუძველი იმ მომავალი წარმატებებისა, რომელიც მომავალში ქართველი ერის სახელმწიფოს – საქართველოს ელოდება.
2. ამოვადგოთ ხმარებიდან – საქართველოს ხალხი. ეს საბჭოთა იმპერიის იდეოლოგიის ბუდეში, ეთნოგრაფიის ინსტიტუტში სუკ-ის მაღალჩინოსნის, ი.ვ. ბრომლის უწყებაში შემუშავებული ე.წ. „საბჭო-თა ხალხის“ უნიჭო კალკია და სხვა არაფერი; რომელიც ეტყობა თქვენმა უვიცმა „მრჩეველებმა“ შემოგაჩეჩეს. საქართველოს პატრონი ქართველი ერია და რამდენადაც ძლიერი იქნება ქართველი ეთნოსი თავის სამშობლოში, იმდენად ამოუღებია მას მხარში მის სტუმართ-მოყვარეობას შემოხიზნული უცხოტომელი.

³ შეგახსენებთ ეროვნული გმირის, მერაბ კოსტავას სიტყვებს წარმოთქმულს 9 აპრილის ღამეს, სადაც იგი მუსტად განსაზღვრავს ამ მისტიური ღამის ადგილს ქართველი ერის ისტორიაში: „ქართველი ერის ისტორიაში ყოფილა დიდებული წამები და ეს წამი არის ერთერთი უდიდებულესი, როდესაც ქართველი ერი ასე ერთად შეკრული წარსლგა ღვთის წინაშე“.

3. არ გვეპატიება ქართველი ერის უახლესი წარსულის მივიწყება - მიჩუმებობა.

4. დავარქვათ ყველაფერს თავისი სახელი.

5. პრეზიდენტი ხართ და ქართველმა ერმა დაგავალათ ერთგულება ცნებათა - მამული, ენა (**სახელმწიფო ენა - ქართული**), სარწმუნოება.

6. პატივი მივავით საქართველოს ღირსეულ მამულიშვილთა სსონას, რათა შემდგომ, შესაბამისად მოგვეზღოს...

მჯერა, თუ იპოვნით თქვენს თავში ძალას და ქართველი ერის სულს მოჰხედავთ, ერი წამსვე (მას ამისათვის ათწლეულები არ სჭირდება) გულს გადაგიშლით, მხარში ამოგიდგებათ და ვერავინ იქნება მაშინ ჩვენი მომრევი.

როგორც ბ-ნი ზვიადი ბრძანებს - „სიმართლისათვის მოგვავლინა უფალმან ჩვენ, სიმართლისათვის მოავლინა ქართველი ერი, რათა მან სწამოს ჭეშმარიტი, რათა მან სწამოს ქრისტესათვის და რათა იგი გაბრწყინდეს მსოფლიო ხალხთა წინაშე ვითარცა ქომაგი ჭეშმარიტებისა“

უთუოდ - „ქმნა მართლისა სამართლისა, ხესა შეიქმს ხმელსა ნელლად“

პატივისცემით,
პაატა ბუხრაშვილი

P.S. გულწრფელად გისურვებთ ბედნიერ ორხელ მამობას...

დანამდვილებით ვიცი, რომ ამ წერილმა ელ-ფოსტით მეშვეობით მიაღწია აღრესაგამდე. ამდენად, იგი უკვე ისტორიის კუთვნილებაა და გამომდინარე აქედან, ვაქვეყნებთ მას. - პ.ბ.